


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინგ ბეჭდ-
უბი სიფყაა, ცყუილებით და ჭბბბბით ბუბ-
ბის გაცანა ყველა უჯდბბბბბაჯ უსაბაგლუხია.

სამშაბათი, 6 მარტი. 2018 წ. №46 (8447), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



რუსეთი ისეთ 5
მდგომარეობაშია,
რომ საქართველოსთან
ახალ კონფლიქტებს ეძებს

„საუბი“ ცხელარი, 4
სისხლიანი ფული
და ცხინვალის
რეჟიმის ტყუილებაი 4
ოკუპანტის
კიდევ
ერთი
მუხანათობა!

აუსილაბლად გვეხველება, 6
ოღონდ ზუსტად ისევე,
როგორც აქამდე „გვეხველა“...

ნულუკიანი თუ 2
ზურაბიშვილი?
ვინ იქნება 2
პრეზიდენტობის კანდიდატი



2
ნინო ბურჯანაძე:
საქართველოს
აღბილი
ნატოში არაა!



2
ეკვლარი ლენინი და 2
საზოგადოებრივი მუხუხუხი

7
საქართველო - შორეული
და შესანიშნავი



ეროვნული აკადემია - კვლევების თვალსაჩინო ქერა

**ქართული სამეცნიერო ცხოვრება
მსოფლიო მეცნიერების კონტაქტში**

**მესაუბრებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვეციანიას**

– ბატონო გიორგი, რა თქმა უნდა, აშკარაა ის სათვალმწერო წვლილი, რაც ქართულ მეცნიერებას შეაქვს ამჟამინდელი საქართველოს წინაშე წამოჭრილ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემათა გამკლავების საქმეში. თუ არა ქართული მეცნიერება, თუ არა ქართველ მეცნიერთა თავდადებული შრომა-რუდუნება, რასაკვირველია, ასე შედეგიანად ვერ განვითარდებოდა ბოლო მეოთხედი საუკუნის მთელ სიგრძეზე აწეწილ-დაწეწილი პოლიტიკის მარწუხებში მოქცეული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური პროცესები.

რედაქციაში ხშირად რეკავენ ჩვენი მეცნიერების, კერძოდ, ჩვენი ეროვნული აკადემიის მეცნიერული მიღწევებით დაინტერესებული მკითხველები და გვთხოვენ, რომ თქვენ, გამორჩენილმა მეცნიერმა, აკადემიის პრეზიდენტმა მოუთხროთ ჩვენი ეროვნული აკადემიის ბოლოდროინდელ კეთილ საქმეებზე.

– კი, ბატონო, ჩვენთვის დიდი პატივია ქართული მეცნიერების პატივისცემელი და დამფასებელი ადამიანებისთვის ჩვენი მუშაობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება. ეს აუცილებელიც არის, ხალხმა უნდა იცოდეს, რა საქმიანობას ეწევა ჩვენი აკადემია, რა საქვეყნო მიღწევები აქვთ ქართველ მეცნიერთა კვლევებს...

– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

წევრობაზე დაფუძნებული და უშუალოდ საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

აკადემია აერთიანებს 88 წევრს (მათ შორის, 58 ნამდვილ წევრს, 30 აკადემიის წევრ-კორესპონდენტს) და 9 სტიპენდიატს. აკადემიას ჰყავს 4 საპატიო, 2 უცხოელი საპატიო წევრი და 90 უცხოელი წევრი, რომლებიც აღიარებული მკვლევრები არიან როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით.

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, ეროვნული აკადემია ყოველწლიურად ახორციელებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების ექსპერტიზას,

შეფასებას და გაცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

აკადემია ახორციელებს, აგრეთვე, უცხოური დონორი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების წლიური შედეგების შემაჯამებელი ანალიტიკური ინფორმაციის მომზადებასა და გამოქვეყნებას.

მომავალი წლიდან იგეგმება საქართველოში მოქმედი კომპანიებისა და ფირმების მიერ წარმოების ცალკეულ დარგებში ახალი ტექნოლოგიების, მონიწივე ტექნიკისა და რეკონსტრუქცია-გადართვების მიმართულებით განუხლები დანახარჯების აღრიცხვა-შეფასება, რათა განხორციელდეს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებაზე დახარჯული რესურსების ზუსტი აღწერა, როგორც ეს მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში.



ჩვენი ნატორა, ახალგაზრდათა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობების მართვაში

რომლის აღმოფხვრა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. „მე ძალიან დიდი ენთუზიაზმით ვუყურებ ამ რეფორმას. ჩვენი ნატორა იქნება ის, რომ საქართველოში საუკეთესო განათლების მქონე ახალგაზრდებს ჰქონდეთ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობების ხელისუფლებებში და – უდიდესი მოტივაცია, რომ, პირველ რიგში, ხელი შეუწყონ რეგიონულ განვითარებას. მოგესხებათ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაღრმავდა განსხვავებები ცხოვრების დონეს შორის სხვადასხვა რეგიონში. ამიტომ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა რეგიონებს შორის უთანასწორობის პრობლემა, რაც ხშირ შემთხვევაში, სოფლად მცხოვრებ ხალხს აიძულებდა, დაეტოვებინათ თავიანთი სოფელი, წასულიყვნენ ქალაქში, ბევრმა მათგანმა დატოვა ჩვენი ქვეყანა. ამიტომ, ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, რომ რეგიონებს შორის ცხოვ-

რების დონის უთანასწორობა აღმოფხვრათ“, – განაცხადა გიორგი კვიციანი. პრემიერმა ამ მიმართულებით დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა 2014 წელს მიღებული თვითმმართველობის კოდექსი, რომელმაც ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი ცვლილების ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩო შექმნა. მისივე თქმით, სწორედ ეს არის ის მთავარი ღონისძიება, რომელიც უნდა აიგოს რეფორმის შემდგომი ნაბიჯები. დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი სტრატეგიული ხედვა, რომლის მიზანია არის ადგილობრივი დონეზე თვითმმართველობის კიდევ უფრო გაძლიერება და განმტკიცება, სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: პირველი – თვითმმართველობის უფლებამოსილების გაფართოება; მეორე – თვითმმართველობას მეტი ივანტიანობისთვის უნდა

ჰქონდეს მეტი ფინანსური რესურსი და ის თანდათან გაღრმავდეს თვითმმართველობაში; მესამე – თვითმმართველობა უნდა აკმაყოფილებდეს გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უწყვეტ პროცესს, უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქეების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების, მართვის პროცესში. „რა თქმა უნდა, ამ სამივე ღონისძიების თანხვედრაში სრულიად სხვა, თვისობრივ შედეგს თვითმმართველობაში. რასაკვირველია, ეს კომპლექსური სამუშაო გახლავთ და მას, სათანადო რესურსი და, რა თქმა უნდა, დრო სჭირდება და წარმოგიდგენთ დროში განვირეცხვას, როგორ მივიღოთ მიზანმიმართულად ამ მიმართულებით“, – განაცხადა პრემიერმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ძირითადი მიზანია, რეგიონებში იყოს, როგორც გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება, ასევე – შესაბამისი რესურსი ამ გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულებისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანმა ადგილობრივი თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიული ეროვნული ხედვის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ რეგიონებს შორის ცხოვრების დონის განსხვავება მნიშვნელოვანი გამოწვევაა,

წულუკიანი თუ ზურაბიშვილი? ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი



„მართლაც, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანდიდატი, რომელიც უნდა იქნას შერჩეული პროცესის დაწყებულთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, ამ დროისათვის

საუბარია ორ საგარეო კანდიდატზე – ერთი მათგანი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ხოლო მეორე საგარეო კანდიდატი პარლამენტის უპარტიო მაჟორიტარი სალომე ზურაბიშვილი. წულუკიანისა და ზურაბიშვილის კანდიდატურა მისაღებად მიაჩნია პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს სოფო კილაძეს. მისი თქმით ორივე მათგანი წარმატებული პოლიტიკოსია. „ქალბატონი თეა წულუკიანი ნამდვილად ღირსეული პოლიტიკოსია და ჩვენი გუნდის ღირსეული წევრია. ქალბატონი სალომე ზურაბიშვილიც არის ქალბატონი, რომელსაც ძალიან დიდი ხნის დიპლომატიური გამოცდილება აქვს და ღირსეული ქალბატონი არის ასევე“ – განაცხადა კილაძემ. საპრეზიდენტო კანდიდატად ქალი პოლიტიკოსის დასახელებას მომგებიან პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაზა გაბუნია. მისი თქმით, მართალია, საქართველოში ქალი პრეზიდენტი არ ყოფილა, მაგრამ ქვეყანას ქალი მმართველების მიერ წარმატებული მართვის გამოცდილება აქვს. „საზოგადოებრივი აზრი იმდენად პოზიტიურად არის ჩამოყალიბებული შესაძლო ქალი კანდიდატის მიმართ, რომ ამაზე დისკუსია და მსჯელობა შესაძლებელია. თან ეს მომგებიანი ნიშა-პოზიციაა“, – აცხადებს გაბუნია.

საქართველოს ადგილი ნატოში არაა!

ნატო არ მიიღებს საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოუგვარებლობის გამო, აცხადებს საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი, ოპოზიციონერი ნინო ბურჯანაძე. „ნატო არასოდეს მიიღებს თავის რიგებში ქვეყანას, რომელსაც ორი მოუგვარებელი კონფლიქტი აქვს და ეს ყველაფერია ნათელია“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ „რია ნოვოსტის“-ის მიცემულ ინტერვიუში. მან ასევე დაამატა, რომ „საქართველოსთვის საზიანოა ნატოს წევრობაზე საუბარი, მხოლოდ იმიტომ, რომ ნატოს წევრობა ნიშნავს, უარი ვთქვათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე“. პოლიტიკოსის მიაჩნია, რომ ნატოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა უნდა მოხდეს ქართული ინტერესების სასარგებლოდ. „რათა არ მივცეთ მათ საშუალება, გამოიყენონ საქართველო რუსეთის პროვოცირებისთვის“ – აცხადებს ბურჯანაძე. ცნობისთვის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი აპირებს, მონაწილეობა მიიღოს 2018 წლის შემოდგომის საპრეზიდენტო არჩევნებში.



უვიზო რეჟიმის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო მოსახლეობასთან შეხვედრებს იწყებს

საგარეო საქმეთა სამინისტრო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მესამე ტალღის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოსახლეობასთან შეხვედრებს იწყებს. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში პირველი შეხვედრა იმერეთის რეგიონში გაიმართება. სამინისტროს თანამშრომლები და საექსპერტო წრეების წარმომადგენლები 2018 წლის 5-6 მარტს ქუთაისს, სამცხ-

მკვლარი ლენინი და საზოგადოებრივი გაუწყობალი



„საზოგადოებრივი გაუწყობლის“ სამეურვეო საბჭოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსი პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე დებატების თემა იყო. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძემ პროცესს „ფარსი“ უწოდა და როგორც განაცხადა, კონკურსის შედეგი წინასწარ განსაზღვრულია. საკითხს პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კომისიის შემადგენლობა არის განახლებული. „სამივე საპარლამენტო პარტიას ჰყავს მისივე დასახელებული კანდიდატურა კომისიაში. ასევე ომბუდსმენის კანდიდატურა არის წარმოდგენილი კომისიაში

აუსილაგლად გვეუბლებს, როგორს აქამდე „გვეუბლა“...

ბოლო ხანებში, იმ ადამიანებს, რომლებსაც მზერა მხოლოდ დასავლეთისკენ არა აქვთ მიპყრობილი და, რომლებიც საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე (ტერიტორიული მთლიანობის თუ ეროვნულ-რელიგიური სახის, გენეზით, ქართველობის შესანარჩუნებლად) საჭიროდ მიიჩნევენ ჩრდილოელ მეზობელთანაც მოლაპარაკებების გამართვას, რატომღაც, „რუსოფობების“ იარაღის აკრავენ და მათი პოზიციის საინაწილმდეგო წერილებს რუბრიკით – „ქართველი რუსოფობების გასაგონად“, აქვეყნებენ. ობიექტურობა მოითხოვს საპირისპირო მოსაზრების წერილებიც იდენტურ რუბრიკით – „ქართველი რუსოფობების გასაგონად“ ან „ქართველი ნატოფობების გასაგონად“, დაიბეჭდოს. თუკი „რუსოფობად“ ვინმეს მოხსენიება ირონია და შეურაცხყოფა არაა, მაშინ „რუსოფობი“ ან „ნატოფობი“ რატომ უნდა იყოს მიუღებელი?!

ეს წერილი იმ პოლიტიკოსების და მალაი რანგის მოხელეების მიერ გატარებულ და, სამწუხაროდ, მომავალშიც(!) გასატარებელ პოლიტიკას ეხება, რომლებმაც 25 წლის (!) განმავლობაში საქართველო კრიზისული მდგომარეობიდან ვერა და ვერ გამოიყვანეს. პირიქით, დასავლეთელი მრჩეველების დახმარებით და აქტიური მონაწილეობით გატარებული ენ. დემოკრატიული რეფორმების წყალობით აბსოლუტურად ყველაფერი (!), რაც კი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია, გაუარესდა:

1. ისედაც პატარა ჩვენი სათავყვანებელი სამშობლო საქართველო კიდევ უფრო დაქუცმაცდა და მოსახლეობისგან დაიცალა;
2. დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია – საქართველოში დარჩენილი მოსახლეობა (განახევრებული ქართველობა) ისეა დაბერებული, როგორც არსად მსოფლიოში, შობადობა კი – საგანგაშოდ დაბალია; კვდომამდე მისული (გაეროს დასკვნითაც) ქართველი ერის გამრავლებაზე ზრუნვის ნაცვლად, ლესბოსელ-ჰომოსექსუალების ხელოვნურად გამრავლებას უწელობს ხელს, თანაც, კანონის, დასავლეთიდან თავსმოხვეული კანონის (!) ძალით;
3. სოციალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა – მოსახლეობის 80 % სიღატაკეა და სიღატაკის ზღვარს მიღმა ლაფავს სულს (ნაგვის ურნებში ქექვა ჩვეულებრივი თბილისური სურათი გახდა);
4. სახელმწიფოს მომავალი – ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო ეფლობა გარყვნილების და ნარკომანიის ქაობში, მისი საუკეთესო ნაწილის უმრავლესობა კი უცხოეთისკენ მიიხსრავის;
5. ზნეობა და მორალი სადღაც უკანა


პლანზე – სიტყვის თავისუფლების ფსევდოლიბერალური გაგებიდან გამომდინარე, შეურაცხყოფა, ცილისწამება (პატრიარქის და ეკლესიის ჩათვლით) და საჯაროდ დედის გინებაც აღარ არის დასჯადი, იგი ხომ კარგა ხანია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა – გინება გვესმის ყველგან: ქუჩაში, მიტინგებზე, თეატრში, კინოში, ტელევიზიაში და პარლამენტშიც.

6. განათლება და, განსაკუთრებით, მეცნიერება, რასაც უნდა ეყრდნობოდეს ნებისმიერი სახელმწიფო, ვისაც ფეხზე დადგომა სურს, ისეთ დონეზეა, რომ, ფაქტობრივად, აღარ არსებობს;

7. „დამარცხებული“ კორუფცია უმაღლეს ემელონებში ყვევის – სხვაგვარად, მხოლოდ მაღალი ხელფას-დანამატ-პრემიებით ახსნა იმ ფაქტისა, თუ როგორ ხდებიან ხელისუფლებაში (პარლამენტსა და მთავრობაში) „ცალ-ცალი კალოში“ მოსული ადამიანები რამდენიმე წელიწადში მილიონრები, შეუძლებელია;

8. სამართალი აღარც ურმით დადის საქართველოში – ჯერ არ გახსნილა არცერთი გახმაურებული საქმე; ჯერ სათანადოდ არ დასჯილა არცერთი დამნაშავე, არ მომხდარა არცერთი საზინის(!) ქურდის და არც კერძო ბიზნესის დამყარების (ცხადია, სახელმწიფო მოხელეებიდან!) გასამართლება და მათი ქონების კონფისკაცია; ამ დროს კი, გაჭირვებით გამოწვეული, სულ რაღაც 500-1000 ლარი ქრთამის ამლები (არაგაჭირვებულები ასეთ წვრილმან, „ხურდა“ ფულზე ხელს რომ არ ისვრიან, ცნობილია!) ლამის ისევე ისჯება, როგორც კაცის მკვლელობა(!);

9. მარადიული „მამული, ენა, სარწმუნოება“ მხოლოდ დევიზად დარჩა: მამული დაქუცმაცდა, გავრანებულია, ენა – წა-



ბილწული ბარბარიზმებით, სარწმუნოება – შეგინებულ-გამასხარავებული!

10. სათქმელი უამრავი რჩება: გაყალბებულ „დემოკრატიულ“ არჩევნებზე, დასჯის ნაცვლად დანინაურებულ და უკადოდ(!) დანიშნულ დამნაშავე მოსამართლეებზე, ბიზნესისთვის „ხელშეწყობაზე“ და „სამართლიან“ ტენდერებზე, ხალხის ყველფაში დაოსტატებულ ბანკებზე, გაზრდილ საგარეო ვალზე, ჩვენი პრეზიდენტის მიერ დამყარებულ, ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფოს პრეზიდენტისთვის მიუწვდომელ მსოფლიო რეკორდზე – არნახული რაოდენობის პატიმარების (მათ შორის, მკვლელებისა და ნარკოტიკებით მოგატყვევების) შეწყობაზე... ყველას რა ჩამოთვლის, მაგრამ, ვფიქრობ ესეც საკმარისია იმის დასტურად, რომ თავისუფლების „მოპოვების“ დროიდან დღემდე ერთ ორიენტის თვალმიპყრობილი, ერთი და იმავე ადგილს ვტკეპნით. უკაცრავად, რომ ვტკეპნიდეთ, რა გვიჭირს – ფეხქვეშ ყოველწლიურად დატკეპნილი, მაგარი საყრდენი მაინც გვექნებოდა, ჩვენ კი ჭაობში ვართ ჩაფლული და იქიდან თავის დასაღწევ გზებს მაინც არ ვეძებთ, ხელსაც არ ვანძრევთ ამისთვის, ჩვენი ბედი სხვებს მივანდეთ – „სტრატეგიულ მეგობრებს“, რომლებიც სულ საქართველოზე ფიქრში „ათენებენ ლამებს“!

სამწუხაროდ, ქართველებმა დავიწყებულ „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო“-ს ფასდაუდებელი

სიბრძნე და სიმართლის თქმას, ქვეყნის საზიანოდ მეგობრულ ხათრიანობას ვარჩევთ. გვავიწყდება არისტოტელეს ლაბიდარული ნათქვამი: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება – უფრო დიდი მეგობარია“. როგორ არ გავგახსენდეს დიდი ილიაც, რომელიც წუმბედან კაცუნების ამოყვანას ცდილობს, ისინი კი: „არა, არა, აქ გვირჩევნია ყოფნაო“, – გაიძახიან და, აქეთ ესვრიან მას ლაფს!! ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ვიშლებით, ვიცლებით, ვგვარდებით, ვირყვებით, ვწლუნგდებით და ვლატაკდებით, მაინც 25 წლის წინან არჩეულ გზას ვადაგვართ, იგი გვგონია, უფრო სწორად, გვარწმუნებენ (ფაქტობრივად, ყველა ტელეარხიდან), რომ ესაა საქართველოს გაბრწყინების ერთადერთი სწორი გზა. რაც მთავარია, „მეგობრების“ (და არა ქართველი ხალხის!) მიერ შერჩეულ ამ ორიენტში არათუ კორექტივების შეტანა, ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობაც კი აკრძალული გვაქვს ოფიციალურ დონეზე, მას ერთი გრადუსითაც არ უნდა გადავუხვიოთ, არც ვეცადოთ!

ილიას „ცარისტულ“ დროსა და ჩვენ „დემოკრატიულ“ დროს შორის, უფრო კონკრეტულად კი იმდროინდელ სწავლას მონაწილეობა ჩვენ წინაპრებს და დღევანდელ სასწავლებლად უცხოეთში გაგზავნილ ქართველებს შორის ერთი კარდინალური განსხვავებაა – განათლებამიღებულ „თერგდალეულები“ კვლავ მამულიშვილებად გვიბრუნდებიან: ტრენინგდაცული „პოტომაკდალეულები“ კი, უმეტესწილად, მანქურთებად გვიბრუნდებიან!

ყოველივე შემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია თუ არა პასუხი გავცეთ სწორად დასმულ და უკვე მწარე ღიმილის მომგვრელ კითხვას: „გვეშველება რამე“? რა თქმა უნდა, შეგვიძლია ადამიანს უჭირს ხოლმე თვალის გაუსწოროს რეალობას და ყოველთვის მისთვის სასურველ პასუხს ეძებს, მაგრამ ასე არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, სათქმელი, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი, ერთხელაც პრინციპულად უნდა ითქვას, როგორც იტყვიან: „გაუთქვინოს გატყვილი სჯობსო“ და მეც ვამბობ: ამ და მსგავსი ხელისუფლების ხელში არაფერი არ გვეშველება, პერსპექტივა წულია! თუმცა, შე ბ რ უ ე ბ ი თ ა ც შეიძლება ითქვას (ოპტიმისტი „ნატოფობებისთვის“): აუცილებლად გვეშველება, ოღონდ, ზუსტად ისევე, როგორც აქამდე „გვეშველა“!



პატივისცემით, იაკოვ ლეჟავა

P.S. ორმაგი სტანდარტების ეჭვი რომ არ გაუჩნდეს მკითხველს, ჩემი თხოვნა იქნება ეს წერილი მაინც გამოქვეყნდეს რუბრიკით: „ქართველი რუსოფობების გასაგონად“.

ი. ლ.

ახალი საგადასახადო ინიციატივის შესახებ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ფინანსთა სამინისტრო განაგრძობს საინფორმაციო კამპანიას რეგიონებში.

5 მარტს ქალაქ ბათუმში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მცირე მენარმეებისთვის შემუშავებული ახალი საგადასახადო ინიციატივები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს გააცნო.

ახალი საგადასახადო ინიციატივა განუთვნილია საქართველოში მცირე მენარმეობის წახალისებისთვის და ითვლისწინებს დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შემოღებას. მთავრობის პრიორიტეტია, ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის წილი, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენას შეეხება.

ახალი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი შეეხება 120000-

ეს თითოეულ ჩვენგანს ეხება!



მდე მენარმე ფიზიკურ პირს. (მენარმე ფიზიკური პირების თითქმის 100 პროცენტს) ახალი ინიციატივის შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება მენარმეებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში

მხიკა მენარმეებისთვის ახალი საგადასახადო თაოსნობის განხილვა რეგიონებში გრძელდება

იქნება 500000 ლარამდე, ნაცვლად დღემდე არსებული 100,000 ლარისა. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება მინიმალური, ერთობლივი შემოსავლის 1%-იანი გადასახადით (ბრუნვის გადასახადი), ნაცვლად დღეს არსებული 5%-ისა. მცირე ბიზნესისთვის მენარმეობა უმარტივესი საგადასახადო ალრიცხვის წარმოების შესაძლებლობა. კერძოდ, სა-

სათვის გაუქმდება მიმდინარე (ენ. საავანსო) გადასახდელების გადახდის ვალდებულება. მცირე მენარმეებს შესაძლებლობა ექნებათ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის პარალელურად, დარეგისტრირდნენ დღგ-ს გადასახდელებად და, შესაბამისად, ჩაითვალოს დღგ ან უკან დაიბრუნონ ავტომატურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ახალი საგადასახადო ინიციატივა, ერთი მხრივ, აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს (1%) მცირე ბიზნესისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, გამარტივებული საგადასახადო ალრიცხვის მეშვეობით მენარმეებისთვის მინიმუმამდე ამცირებს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯებს. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზრდება მცირე ბიზნესის წილი.

ახალი საგადასახადო რეფორმა უზრუნველყოფს სექტორის უფრო მეტ გამჭვირვალობას, რაც,

თბილისის ქვის ფაუნა

ვანო პატარიძის „ვეფხვები“

მშველს გვინახავს თბილისის ზოოპარკის შესასვლელის ორივე მხარეს მოთავსებული ქვის ვეფხვების წყვილი – საზარლად ხახვებდაბრუნებულნი, ცოცხლებივით პლასტიკურები და კუნთებდაბრუნებულნი, თითქოს ცოცხალმა ვეფხვებმა ზოოპარკთან ჩამოვლილ მედუზა გორგონას შეუღრინეს და მისი მზერისგან გაქვავდნენო.

ამ ქანდაკებების ავტორი XX საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები მოქანდაკე ვანო პატარიძეა (1903-1952).

ეს ვეფხვები დადგმისას, გასული საუკუნის 30-იან წლებში, უფრო კარგად მოჩანდნენ გზიდან, მაგრამ გამართა მოედნის რეკონსტრუქციის შედეგად სავალი გზა ზევით ასწიეს, რის გამოც ქანდაკებები იმაზე უფრო დაბლა აღმოჩნდნენ, ვიდრე თავიდან იყვნენ განთავსებული.

ხელოვნებათმცოდნე მერი კარბელაშვილი წერილში „ქართული ქანდაკება“ აღფრთოვანებული წერს მოქანდაკის ოსტატობაზე: „ცხადია, რომ ქანდაკების შესრულებას ნატურაზე ხანგრძლივი დაკვირვება ედო საფუძვლად. ცხოველების მუსკულატურა მკაფიოდ იკვებება და შედგინებით უხსტადაა გად-



მოცემული ქვის ზედაპირის ოსტატური დამუშავებით, რომლის დროსაც მოქანდაკე საჭრეთლის კვალს სტოვებს, რაც ქანდაკების გამოხატულობას და დეკორატიულობას აძლიერებს“.

1948 წელს ვაკის პარკის შესასვლელში დადგეს ვანო პატარიძის ვეფხვების მეორე წყვილი, რომლის კომპოზიცია მის წინა ნამუშევარს იმეორებს.



ასევე მოქანდაკე ვანო პატარიძე ავტორი 1920-იანი წლების ბოლოს თბილისში დადგმული ფასკუნჯების წყვილისა, რომელთაგან ერთი ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ალყაფის კარს ამკობს ფურცელაძის ქუჩის მხრიდან, მეორე კი – ამავე შენობის ქვედა კუთხეს, ფურცელაძისა და გუდიაშვილის ქუჩების კვეთაზე, საჯარო ბიბ-

ლიოთეკის პირველი კორპუსის მოპირდაპირე მხარეს.

„ფორმები კომპაქტური და პლასტიკური. მათი დიფერენცირება მთლიანობას არ არღვევს. ეს ადრინდელი ნამუშევარი აშკარად მეტყველებს მოქანდაკის მასალის მიმართ ფაქიზ გრძობაზე. მუქი, ქვისაგან გამოკვეთილი ფასკუნჯების წყვილი მასშტაბურია, ქმნის დეკორატიულ აქცენტებს და მშვენივრად ერწყმის გარემოს“, – წერს მერი კარბელაშვილი.

ვანო პატარიძე იყო იაკობ ნიკოლაძის ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც მუშაობდა შიშველ ნატურაზე, გატაცებული იყო მიქელანჯელოს შემოქმედებით. მოქანდაკეს შესრულებული ჰქონდა პორტრეტები და სკულპტურული კომპოზიციები, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. შემორჩა რამდენიმე ქვაში გამოკვეთილი და თბილისში დადგმული ქანდაკება.

„ვანო პატარიძის „ვეფხვები“ პირველი ანიმალისტური ქანდაკება იყო ქართულ ახალ ხელოვნებაში. ზოოპარკის კართან დადგმისას მათი შინაარსი და სიუჟეტი ადგილის შესაბამისად იყო შერჩეული. გარდა ამისა, ეს იყო ნამდვილი საპარკო ქანდაკება, რომელშიც კონკრეტულობა, ნატურასთან სიახლოვე, შეთავსებული იყო დეკორატიულობასთან, რასაც ნაწილობრივ ნატურის ხასიათიც კარნახობდა. ვანო პატარიძის ნამუშევრები, მიუხედავად მათი მცირერიცხოვნობისა, თავისებურ ეტაპს წარმოადგენს ქართული ქანდაკების განვითარებაში და მკაფიოდ მეტყველებს მათი ავტორის ნიჭიერებაზე“, – მერი კარბელაშვილი, „ქართული ქანდაკება“.


ჯიფში რახვიანში

საქართველო – ზორიული და შესანიშნავი

ავსტრალიური გამოცემის „The Australian“-ის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში გადმოცემულია ავსტრალიელი ჟურნალისტი ქალის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, კერძოდ კი, აღწერილია საქართველოს სამხედრო გზისა და თბილისის ღირსშესანიშნაობები.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ეიტნა ნაითინგელის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის რეზიუმეს:

„მიხეილი, ჩვენი თბილისელი ტაქსისტი, ფიქრობს, რომ ძალიან იღბლიანი და გამბედავი ვარ, რომ ყაზბეგში მივდივარ, კავკასიის მთებში. იღბლიანი იმიტომ, რომ საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც მთებში, რუსეთის საზღვრისაკენ მიემართება, ეს-ესაა თოვლისაგან განწმინდეს. გამბედავი კი იმიტომ, რომ



ზღვის დონიდან ორი ათას მეტრ სიმაღლეზე, თოვლის დიდი ნამქერის შექმნას ერთი წუთი სჭირდება. საქართველოს სამხედრო გზა რუსებმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გაიყვანეს. ამ გზაზე დადიოდნენ რუსი მწერლები – ალექსანდრე პუშკინი, ლერმონტოვი, მაქსიმ გორკი და ლევ ტოლსტოი. იმ დროს მოგზაურობა გადაადგილება მხოლოდ ფეხით ან ცხენით შეეძლო, დღეს კი აქ უზარმაზარი სატვირთო ავტომანქანები დაგრიანდებიან, რომლებიც სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან რუსეთისაკენ მიდიან და პირიქით“, – ნათქვამია სტატიაში.

ავტორი მკითხველს აცნობს საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე ანანურის ციხეს, მე-17 საუკუნის ეკლესიას, პოპულარულ სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურს, საბჭოთა პერიოდის დროინდელ ძეგლს, რომელიც საქართველო-რუსეთის მეგობრობას ასახავს, მაგრამ 1991 წლამდე, ანუ სანამ საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.

სტატიაში აღწერილია სტეფანწმინდაში მდებარე ერთ-ერთი სუპერთანამედროვე სასტუმრო, რომელიც ადრე სანატორიუმის როლს ასრულებდა. „აივანზე ვდგავარ და აქედან მე-14 საუკუნის გერგეტის წმინდა სამების ეკლესიას ვაგსტყერი. იქ უნდა ავიდეთ და ვნახოთ. ჯერ ავტომობილით მივდივართ, შემდეგ კი ფეხით. თან წვეროსანი ბერები მოგვყვებიან და თოვლში გზის გაკვლე-

ვაში გვეხმარებიან“.

„ვნახე, თუ როგორ მიმდინარეობს სასტუმრო „ინტურისტის“ ძველი შენობის რემონტი, რომელიც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, როგორ თავისუფლდებიან ქართველები საბჭოური ბორკილებისაგან. მეორე დღეს დარიალის ხეობით რუსეთის საზღვრისაკენ მივდივართ, ვათვლიერებთ თამარის ციხეს, რომელიც მე-12 საუკუნის საქართველოს მეფე-ქალის სახელს ატარებს. მიხეილ ლერმონტოვმა ამ ადგილებს გაგვლინა დაწერა პოემა „დედონი“, – წერს ეიტნა ნაითინგელი.

რაც შეეხება საქართველოს დედაქალაქ თბილისში მიღებულ შთაბეჭდილებებს: უპირველეს ყოვლისა, ავტორი ეწვია ცნობილ თბილისურ თერმულ აბანოებს:

„ჩვენ ვირჩევთ აბაზანას ალმოსავლური ორნამენტებით, წყალი 45 გრადუსამდეა გაცხელებული. მექის ქალი აიდა კომფორტულად გვემსახურება“.

თბილისი უძველესი ქალაქია, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი. ბევრია აღდგენილი ძველი შენობა. „აუცილებელია არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, თორემ ტურისტები აქ მინა-ბეტონის ცათამბჯენებისა და საბჭოური ეპოქის მონსტრი შენობების სანახავად ნამდვილად არ მოვლენ“, – ამბობს მიხეილი.

ავტორი ეცნობა თბილისის ისტორიის მუზეუმის ექსპონატებს.

სტატიაში, რასაკვირველია, თბილისური რესტორნებისა და ქართული სამზარეულოს კერძების შესახებაც არის საუბარი: ხაჭაპური, მწვადი, ხინკალი, ნიგვზიანი ბადრიჯანი და ქართული ლენიო...

„სანამ აეროპორტში წავიდოდი, მშრალ ხიდიდან არსებულ ბაზრობასაც ვწვდი. მე არ მაინტერესებს აქ გასაყვად გამოფენილი საბჭოური ორდენები, არც სტალინის თუ ლენინის პლაკატები, მაგრამ 100 წლის წინანდელი ქართული ხალიჩა საოცრად იაფად შევიძინე. გამყიდველი მარწმუნებს, რომ აეროპორტის საბაჟოში არანაირი პრობლემა არ მექნება. მიმაქვს ქართული ხალიჩა და ლენიო და ღმერთს ვვედრები, რომ ჩვენი მოგზაურობა კარგად დასრულდეს“, – ნათქვამია სტატიის დასასრულს.

„THE AUSTRALIAN“ (ავსტრალია)



წადით საქართველოში და დაათვალიერეთ!

ნორვეგიული გამოცემის „VG – Verdens Gang“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია 34 წლის ნორვეგიელი ანთროპოლოგისა და მწერლის ერიკა ფატლანდის მოგზაურობა რუსეთის სახმელეთო საზღვრის გასწვრივ მდებარე ქვეყნებში, რომლის საფუძველზეც დაიწერა 600-გვერდიანი წიგნი სახელწოდებით „საზღვარი“. წიგნმა კრიტიკოსების დადებითი შეფასება დაიმსახურა, – აღნიშნულია პუბლიკაციაში (ავტორი – მეტე ფელმეიტი).

ნორვეგიაში ოთხი კომპანია, რომლებიც ტურიზმის სფეროში არიან დაკავებული, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებად მიიჩნევენ. ერიკა ფატლანდი წიგნში მკითხველს საქართველოში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებსაც უზიარებს:

„საქართველო საოცარი ქვეყანაა, რომელიც კავკასიის მთებში მდებარეობს. ბოლო წლებში იქ ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. საქართველოში ყველაფერი: დიდებული ბუნება, მთები, თბილისი ზღვა და პლაჟები, უგემრიელესი კერძები, ძალიან სტუმართმოყვარე და იმპულსური მცხოვრებლები. საქართველო დასავლეთისკენ ისწრაფვის, ბოლო დროს ეს ქვეყანა მსოფლიოს სხვა ნაწილებისათვის ნამდვილი აღმოჩენა გახდა. საქართველო პატარა ქვეყანაა და ამიტომ იქ მცირე დროში ბევრი რამის ნახვას მოასწრებთ.

რუსეთთან საზღვარზე ევროპის ყველაზე მაღალი მთა მდებარეობს – იალბუზი, სადაც ზამთარ-ზაფხულ შეგიძლიათ ასვლა. გარდა მისა, აუცილებლად უნდა მოინახულოთ და დაათვალიეროთ უძველესი, ათასწლოვანი თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, რომელიც მომხიბვლელია, თუმცა ალაგ-ალაგ ცოტა მოუვლელიც. რაც შეეხება საჭმელებსა და ღვინოს, თბილისში თქვენ კმაყოფილი იქნებით – აქ ყველაფერი ბრწყინვალე დონეზეა, ღვინო სულ უფრო უკეთესი ხდება. საქართველოში შეგიძლიათ ვენახში ყურძნის კრეფაც.

კავკასიის რეგიონში საქართველო ჩემთვის ყველაზე საყვარელი, მიმზიდველი ქვეყანაა და ამაში არასოდეს არ დავეჭვდები“, – წერს თავის წიგნში ერიკა ფატლანდი.

„VG – VERDENS GANG“ (ნორვეგია)

იტალიის საპარლამენტო არჩევნებში ბერლუსკონის კოალიციამ გაიმარჯვა



იტალიის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე-ცენტრისტულმა კოალიციამ, ექსპრემიერ სილვიო ბერლუსკონის ლიდერობით, ხმათა 37%-მდე მიღება შეძლო.

მეორე ადგილზე მოძრაობა „5 ვარსკვლავია“, ამომრჩეველთა ხმების 30.85%-ით. 24.16%-ით კი, მესამე ადგილს მემარცხენე-ცენტრისტული კოალიცია იკავებს. იტალიის შს სამინისტროს ინფორმაციით, რომელიც საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ითავსებს, არჩევნებში მონაწილე დანარჩენი პარტიებიდან „თავისუფლებამ და თანასწორობამ“ - 3.54%, ხოლო პარტიამ „ძალაუფლება ხალხს“ - 1.20% - მიიღო. რაც შეეხება კიდევ 16 პარტიას, მათ ხმათა 1%-ზე ნაკლები მიიღეს.

გერმანიის პრეზიდენტმა ანგელა მერკელმა კანცლერის თანამდებობაზე ანგელა მერკელის კანდიდატურა შესთავაზა. ამის შესახებ განცხადება დღეს ქვეყნის სახელმწიფო კანცელარიაში გაკეთდა.

„პრეზიდენტმა ბუნდესტაგს მიმართა შეტყობინებით, გერმანიის კონსტიტუციის 63-ე პუნქტის თანახმად და შესთავაზა ანგელა მერკელის თანამდებობა ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე. თუ როდის იქნება მერკელი არჩეული ამ თანამდებობაზე, ეს ბუნდესტაგმა გადაწყვიტოს“ - ნათქვამია განცხადებაში.



ჩხუბით პრაკტიკაში უმეტესობაში არ ასირებს ლტოლვილების მიღებას

- ამის შესახებ ჩეხეთის რესპუბლიკის ახალმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა. „ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგეები ვართ, ვინმემ გვიკარნახოს, ვინ უნდა იცხოვროს და იმუშაოს ჩვენს ქვეყანაში. ეს კვლავი ანაწევრებს ევროპას და არ არის ეფექტური“, - განაცხადა ანრეი ბაბიშმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას. ცნობისათვის, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად ჩეხეთის რესპუბლიკას ევროკავშირთან ურთიერთობა მიგრანტების განაწილების ევროკავშირის ევროპის უარყოფის გამო დაეძაბა. აღნიშნული გეგმის მიმართ წინააღმდეგობა სულ უფრო იზრდება. მონინააღმდეგეთა ჩამონათვალს ავსტრია, ბულგარეთი და ხორვატიაც უერთდება. სიას, სავარაუდოდ, შეუერთდება იტალიაც, თუკი ქვეყანაში დღეს მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე კოალიცია გაიმარჯვებს.

დონალდ ტრამპი ნარკომოვაჭრების სიკვდილით დასჯის დაწესების წინადადებას გამოდის. „ნარკომოვაჭრებს, ნარკოტიკების გაბავრცელებლებს მართლა დიდი ზიანი მოაქვთ. ზოგიერთ ქვეყანაში ამაზე ძალიან, ძალიან მკაცრი სასჯელია, სასჯელის უმაღლესი ზომაა.



და, სხვათა შორის, მათ ნარკოტიკებთან დაკავშირებით ბევრად ნაკლები პრობლემები აქვთ, ვიდრე ჩვენ. თუ ერთ ადამიანს მოკლავ, შენ სიკვდილით დაესჯიან. ამ ხალხმა შეიძლება 2000, 3000 ადამიანი მოკლან და მათ არაფერს ემართებათ.“ - განაცხადა აშშ-ში პრეზიდენტმა.

კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2018 წლის 10 აპრილიდან ახსადებს

კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

- შინაგანი მედიცინა: 2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი;
- მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;
- პედიატრია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;
- ბავშვთა ინფექციური სნეულებები: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი;
- ბიოქიმია: 2 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;
- თერაპიული სტომატოლოგია: 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი;
- ადამიანის ნორმალური ანატომია: 1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი;
- ტოპოგრაფიული ანატომია ოპერაციული ქირურგიის საფუძვლები: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;
- პათოლოგიური ანატომია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;
- სამხედრო სამართალი: 1 პროფესორი;
- კერძო სამართალი: 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 2 ასისტენტი;
- სისხლის სამართალი: 2 ასისტენტი;
- სისხლის სამართლის პროცესი: 1 ასოცირებული პროფესორი;
- საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესი: 1 ასოცირებული პროფესორი;
- ჟურნალისტიკური ეტიკა - 1 ასოცირებული პროფესორი;
- პოლიტიკა და მასმედია - 1 ასოცირებული პროფესორი;
- მედია და კონფლიქტი - 1 ასოცირებული პროფესორი;
- ჟურნალისტიკური ოსტატობა - 1 ასოცირებული პროფესორი;
- ენათმეცნიერება: 1 ასოცირებული პროფესორი;
- საინფორმაციო კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე) - 1 ასოცირებული პროფესორი;
- ეკონომიკა: 1 პროფესორი;
- რუსული ფილოლოგია: 1 პროფესორი;

თანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
ბ) ანკეტა;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
ე) უმაღლესი განათლების და დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტები.
უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თან უნდა ახლდეს ნოტარიულად და მოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
ვ) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე;
ზ) საინფორმაციო კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე) სასწავლო კურსის წასაკითხად, კონკურსანტი უნდა ფლობდეს C1 დონის კემბრიჯის ან TOEFL-ის სერტიფიკატს ან ფლობდეს შესაბამის დიპლომს ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით.
სერტიფიკატის/დიპლომის არარსებობის შემთხვევაში სავალდებულოა ტესტირების გავლა ინგლისურ ენაში.
კონკურსში მონაწილეთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა და მათი რეგისტრაცია ინარმოებს 2018 წლის 10 აპრილიდან - 2018 წლის 18 აპრილამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (10.00 სთ-დან 17 სთ-მდე, ვაკე, ი.ჭავჭავაძის გამზირი № 25)

კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2018 წლის 27 აპრილისა.
კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sdasu.edu.ge დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.: (995 32) 2-253-677.

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად

- 1. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 (არასრული) ერთეული „ბორშემცველი და კომპოზიციური მასალების ლაბორატორიაში“.
სამუშაოს აღწერა
- სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების (მაღალი სისხლისა და დამაკმაყოფილებელი სიბლანტის, მაღალი რადიაციული მდგრადობის, მაღალი ტრიბოლოგიური მახასიათებლების და სხვათვისებების მქონე) ბორის, ბორისნაერთების (მათ შორის ნანოგანზომილების) შემცველი კომპოზიციური მასალების მიღების მეთოდების დამუშავება;
- ფუნქციონალი და კომპაქტირებული კომპოზიციური მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, სტრუქტურისა და ფაზური შემადგენლობის შესწავლა;
კონკურსის პირობები
კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება, დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:
1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)

- 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს / კვლევის უნარს;
7. სამეცნიერო გრანტების ჩამოთვალა;
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოგონების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
9. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კანდიდატს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი);
საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2018 წლის 5 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.
დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

© წინ, საქართველო!

პროფინალური - მესამე

საქართველოს წყალბურთულ ვაჟთა ნაკრებმა ისრაელის გუნდი კონტინენტის პირველ...

ისრაელი: მალკისი, შმოისმანი (1), გროსი, ი. კერენი, კოჰენი, ო. კერენი (2), ეროსი



(2), ფრაიდი (2), ჰადარი (2), კოტერი, ზონან-შტერნი (1), გუნია, ფირი.

საქართველო: შუბლაძე, ქავთარაძე, რუსიშვილი (1), იმნაიშვილი (2), ბითაძე (2), ელაჩა...

სარეგულაციო განწყობილმა მასპინძლებმა პირველი წამებიდანვე შეუტყეს სტუმართა...

გინა. მერე მიხეილ ბალათურიამ (2) და ანდრია ბითაძემ იყოჩაღეს და ჩვენებმა პირველი პერიოდი 5:4 მოიგეს...

ლამა დილია

© რაბი ჩენი თამაში!



საქართველოს ნაკრებმა რაბი ევროპის ჩემპიონატში ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა...

ესპანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად...

ესპანეთის დაამარცხეს

ვაში ისინი რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებასაც ახერხებდნენ...

შესვენების შემდეგ „ბორჯღალოსანთა“ უპირატესობა აშკარა იყო...

საქართველო - 14 (134:10), რუმინეთი - 9 (120:43), ესპანეთი - 8 (52:46)...

ლამა დილია

საფეხბურთო მოზაიკა

ვაკო მახაიძის აშშ-ის MLS-ის პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.



ლიპ სენდეროსი და ჩილელი ნახევარმცველი დავიდ პიზარო. სიმბოლური AS USA-მ შეადგინა.

„სან ხოსე ერთქვეიკის“ ქართველმა შემტევმა „მინესოტა იუნაიტედთან“ შეხვედრაში ერთი ბურთი გაიტანა...

ცნობილ ფეხბურთელთაგან სიმბოლურში ასევე მოხვდნენ შვეიცარიელი მცველი ფი...

წუთი დაჰყო მოედანზე გიორგი ქვილითაიამ, თუმცა სამწუხაროდ, წინა ორი მატჩისგან განსხვავებით გოლი ვერ გაიტანა...

აქვე გეტყვით, რომ იმავე დღეს გურამ კაშიამ და ვაკო გვილიამ საგოლე გადაცემები მიითვალეს.

პრიმერადივიზიონის 27-ე ტურის ცენტრალურ მატჩში „ბარსელონამ“ შინ „ატლეტიკო“ ლიონელ მესის ზღაპრული საჯარიმოს წყალობით 1:0 დაამარცხა...



ლეოს „ბარსას“ მაისურით 539 ბურთი აქვს გატანილი, ხოლო არგენტინის ნაკრების - 61.

მესის 600 გოლის გასატანად 747 შეხვედრა დასჭირდა.

ფლორენციის „ფიორენტინას“ კაპიტნისა და იტალიის ნაკრების მცველის დავიდ ასტორის გარდაცვალებას საფეხბურთო სამყარო განიცდის...

ან გარდაცვლილი ბერგამოს პროვინციაში, სან გლოვა-ნიში დაიბადა 1987 წლის 7 იანვარს. ფეხბურთის თამაში მან „პონტე სან პიეტროში“ დაიწყო...

2008 წელს დავიდ „კალიარიში“ აღმოჩნდა და სერია A-შიც პირველად ითამაშა. ასტორი სარდინიულ გუნდში 6 წელი დარჩა და კლუბის სიმბოლოც გახდა...

„მადლობა „სპარტაკს“ ინტერესისთვის, მაგრამ ვრჩები იტალიაში, „კალიარიში“ და მსურს, ჩემი კარიერა „როსობლუს“ მივუძღვნა“ - ამბობდა ის.

დავიდეს სარდინიის დატოვება მინც მოუხდა და 2014 წლის ზაფხულში „რომას“ ფეხბურთელი გახდა. „კალიარი“ მან სიმბოლოს რანგში დატოვა და სარდინიელი ქომაგების გულში სამუდამოდ ჩაენერა...

წლის 6 იანვარს უდინეში „ფრიულის“ სტადიონზე.

2015 წლის 4 აგვისტოს, დავიდ ასტორი ფლორენციის „ფიორენტინაში“ გადავიდა და „არტემიო ფრანკიზე“ არგენტინელ გონსალო როდრიგესთან ერთად საკმაოდ ძლიერი დაცვის წევრი შექმნა...

დავიდ ასტორი იტალიის ნაკრების წევრიც იყო. ქვეყნის 18 წლამდელთა ნაკრებში გამოსვლის შემდეგ, „სკუადრა აშურაში“ პირველად 2010 წლის 6 აგვისტოს კოტ დივუარის წინააღმდეგ სათამაშოდ დაუძახეს და ეს ჩვენზე პრანდელიმ გააკეთა...

სამაგიეროდ, ერთი წლის თავზე 2013 წელს ნაკრებთან ერთად იყო ბრაზილიაში, კონფედერაციათა თასზე და სწორედ ამ ტურნირზე გაიტანა პირველი და უკანასკნელი სანაკრებო გოლი...

რაც შეეხება სერია A-ს, ასტორიმ ზუსტად ერთი კვირის წინათ, ვერონას „კიევოსთან“ ითამაშა და მისდა უნებურად, ეს გელის სიმღერა გამოდგა, უკანასკნელი გოლი კი 2017 წლის 10 სექტემბერს მეორე ვერონულ გუნდს „შელას ვერონას“ სიყვარულის ქალაქში გაუტანა...

დავიდ ასტორი უკვე ისტორიის კუთვნილებს. იტალიელი ფეხბურთელის სიცოცხლე 1987 წლის 7 იანვარს დაიწყო და 2018 წლის 4 მარტს დასრულდა. „ფიორენტინას“ კაპიტანი უდინეში, „უდინეზესთან“ მატჩისთვის ემზადებოდა და სასტუმრო La Di Moret-ის ნომერში გარდაიცვალა...

გადდასტურდა, რომ სიცოცხლის მოსპობა გულის შეტევამ გამოიწვია, ბედის ირონიით კი დავიდ ერთვაციან ნომერში იმყოფებოდა და განცალკევებით ყოფნა თავადვე ისურვა. ასტორის ჰყავდა მეუღლე ფრანჩესკა ფიორენტი და 2 წლის გოგონა ვიტორია...

გიორგი შოთაძე

გამოვლინდა ოსკარი 2018-ის გამარჯვებულები

ლოს-ანჯელესში, დოლბის თეატრში გუშინ ოსკარის რიგით 90-ე დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ლონისძიებს ამერიკელი კომიკოსი ჯიმი კიმელი უძღვებოდა. ამერიკის კინოაკადემიამ წლის საუკეთესო ფილმად გილერმო დელ ტოროს The Shape of Water დაასახელა. ფილმში მთავარ როლს სალი ჰოვკინსი ასრულებს.

ნომინაციაში მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი, გამარჯვებული გახდა გარი ოლდმანი ფილმისთვის Darkest Hour. მსახიობი ფილმში უინსტონ ჩერჩილის როლს ასრულებს. აღსანიშნავია, რომ ეს გარი ოლდმანისთვის პირველი ოსკარია.



ფილმმა Darkest Hour ასევე მიიღო ოსკარი ნომინაციაში საუკეთესო გრომი და ვარცხნილობა.

ნომინაციაში მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი გამარჯვებული გახდა ფრენსის მაკდორმანდი, ფილმისთვის Three Billboards outside Ebbing, Missouri.

მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის საუკეთესო მსახიობი კაცი სემ როკუელი გახდა, ფილმისთვის Three Billboards outside Ebbing, Missouri, ხოლო მსახიობი ქალი კი ელისონ ჯენი ფილმისთვის I, Tonya.

ნომინაციაში საუკეთესო რეჟისორი გილერმო დელ ტორომ გაიმარჯვა, ფილმისთვის The Shape of Water.

დელ ტოროს ფილმმა The Shape of Water კიდევ ორი ოსკარი – საუკეთესო მხატვრობისთვის და საუკეთესო მუსიკისთვის დაიმსახურა...

იქნებ დაგვადგას საშველი, რომ ჩვენმა ბავშვებმა მსუბუქი ნიგნები ატარონ

დიდი ნიგნები დაიყოფა სექციებად, რაც ბავშვებს საშუალებას მისცემს, გაცილებით მსუბუქი ნიგნები ატარონ, – ამის შესახებ განათლების მინისტრის მოადგილემ თემურ მურდულიამ ნიგნების წონასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

თეიმურაზ მურდულია ბოლო დროს, ნიგნების შინაარსთან დაკავშირებით გახშირებულ მშობლების პრეტენზიებსაც გამოეხმაურა. მისი თქმით, არის მოლოდინი რომ ნიგნების ხარისხი გაცილებით უკეთესი იქნება.

„სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვჭირდება ბოლო გაცილებით უკეთესი ნიგნები, შეიცვალა მთლიანად ეროვნული სასწავლო გეგმა, შეიცვალა ნიგნების შეფასების კრიტერიუმები. ხარისხი, მოლოდინი არის, რომ იქნება შეუდარებლად უკეთესი. რაც შეეხება წონას, აქ ორი მიმართულებაა. ერთი – ეს არის ქალაქის პარამეტრების შეცვლა, თუმცა იქაც ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, მეორე – დიდი ნიგნები დაიყოფა სექციებად, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ბავშვმა გაცილებით მსუბუქი ნიგნი ატაროს“, – განაცხადა მურდულიამ.



საქვე მზის შუქზე ააქით!

სუსტი განათება აძნელებს გონებრივ მუშაობას.

ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ არასაკმარისი განათება თავის ტვინის იმ უბანზე მოქმედებს, რომელიც მესხიერებასა და ყურადღებაზე პასუხისმგებელია. ამიტომ სუსტი სინათლის პირობებში გაძნელებულია ისეთი ამოცანების გადაჭრა, რომელთა შესრულება თავისუფლად შეიძლება კარგი განათების დროს, რომელიც ტვინზე მასტიმულირებლად მოქმედებს.

სოციალურ დარღვევას არა უხავს, რა!

დიეტის დროებით შეწყვეტა დადებითად მოქმედებს განდომის პროცესის მიმდინარეობაზე, – აცხადებენ ბრიტანელი მეცნიერები.



მოსახლისებზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მათი ის ნაწილი, რომელიც დიეტას მკაცრად იცავდა, იმათთან შედარებით, ვინც მას შიგადაშიგ „არღვევდა“, უფრო ნაკლებად გახდა. აქედან გამომდინარე კი დიეტოლოგები დროდადრო დიეტის სიმკაცრის „შერბილების“ რჩევას იძლევიან.

ზედმეტები - მოსილეთ!

მსპანელი მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ სათამაშოების სიჭარბე ბავშვებს ფანტაზიის გამოვლენაში უშლის ხელს.



ექსპერიმენტის დროს მშობლები თავიანთ პატარებს სათამაშო ზონაში ნახევარი საათით ხან მხოლოდ 4, ხანაც – 16 სათამაშოსთან ტოვებდნენ მართლაც. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თამაშის დროს ბავშვები გაცილებით შემოქმედებითები მასინ იყვნენ, როცა უფრო ნაკლები სათამაშოები ჰქონდათ.

გარდა ამისა, ერთი სათამაშოთი ბავშვები უფრო დიდხანს თამაშობდნენ, დროის მეტ ნაწილს კი იმას ანდობდნენ, რომ ფიქრობდნენ, თუ კიდევ როგორ შეიძლება ბურთით, ან სხვა რამით თავის შექცევა.

მკვლევართა აზრით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვებს ცოტა სათამაშო უნდა ჰქონდეთ: უბრალოდ, ერთდროულად გასართობად რამდენიმე სათამაშო სავსებით საკმარისია, რადგან მათი სიმძირვე ფანტაზიისა და გამოგონებლობის უნარს ალღევივს.

გასასინებელი ა(მ)ბები

ღანაკარგი
კომპლექსი დღეობაზე მიდის. იყიდა ერთი ბოთლი ღვინო, მაგრამ ტრამვაიში დარჩა. გააჩერა ტაქსი, ტრამვაის გამოეკიდა და დაეწია.
– ღვინიანი ბოთლი ხომ არ გიპოვიათ? – ეკითხება კონდუქტორს.
– მე არა, მაგრამ, აი, ბოლოში კაცს რომ სძინავს, მაგან იპოვა! – უბნება კონდუქტორი.

მოღალატე კლდე
– საიდუმლოს შენახვა შეგიძლია? – ჰკითხა ერთმა ახალგაზრდა ქალმა მეორეს.
– რას ამბობთ!..

სათამაშოები
ლორდი ბრიკენჰერდი ნიუ-იორკში ჩავიდა.
– სერ! – უთხრა გიგმა, რომელმაც თითი უზარმაზარი ცათამბჯენისკენ გაიშვირა. – გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, მსოფლიოში მსგავს ვერაფერს ნახავთ, თვით ჩვენს პატივცემულ ქვეყანაშიც კი.
– გეთანხმებით, აქოთხმოცი სართულია. – დაეთანხმა ინგლისელი.
– სახურავიდან გარშემო ხედას მიღზე ჩანს.
– რას ამბობთ!..

ნახევარი
პაფეში კოვალსკის მაგიდას ერთი სახეჩამოტირალი კაცი მიუჯდა, რომელიც მან სრულიად შემთხვევით რამდენიმე კვირის წინათ გაიცნო.
– როგორ ვცხოვრობთ? – ჰკითხა მან.
– ისე, რა... ცოტ-ცოტა...
– თქვენი მეუღლე თავს როგორ გრძობს?
– ჩინებულად.

ბავშვები?
– მშვენივრად.
– ნათესავები?
– შესანიშნავად.
მცირე ხანს დუმილი ჩამოვარდა, რომელიც კოვალსკიმ დაარღვია:
– თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ბუბიის ბუბიაც ცოცხალი მყავს.

ზრუნვა დღეა
მამა, დედა და პატარა ვასიკო კაფეში შედიან.
– ორი კოქტეილი! – უკვე თავს მამა.
– დედოკოსთვის არაფერს არ უკვეთავ? – გაკვირვებულია პატარა ვასიკო.

ღანაკარგი
– რასაკვირველია, – მიუგო მან, – მაგრამ ალღო მღალატობს, ვისაც საიდუმლოს გავანდობ, შენახვა არავის არ შეუძლია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ ბოგიაშვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანადგომა“-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაჯ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საჩუქრადღებოდ!
რედაქციის მიერ
შუქავითავა მასალაში
დაიბეჭდა ავტორთა
სარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შეხატვა, მუდამ
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს ატვირთავ
ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია,
უსილებლად
წაიკითხე!**

საქართველოს რესპუბლიკა	უხსოვრი ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.4634; ევრო - 3.0268; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.3951; 100 რუბლი - 4.3429; თურქული ლირა - 0.6468; ახარბაიჯანული მანათი - 1.4539; 1000 სომხური დრამი - 5.1161.	აქტიური 6 მარტისთვის ავტორთა საჩუქრადღებოდ: ბარა - ლაშქ -3, ლაშქ +11 მთიანი რაიონები - ლაშქ -7, ლაშქ +11 დასავლეთი საქართველო: ბარა - ლაშქ 0, ლაშქ +22 მთიანი რაიონები - ლაშქ -4, ლაშქ +16 თბილისი: ლაშქ +1, ლაშქ +9	დაავიკავით, მოგვწერეთ: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
-------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------